მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | 1 | — |


შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მოსჩანს ბოლო. 2) ფელეტონი: პოლიტიკური უფლებები. 3) ახალი ამბები. 4) მიტინგები პეტერბურგში. 5) შეგნებული მუშების პროტესტი. 6) ქუთაისის ამბები. 7) რუსეთის ქრონიკა. 8) უცხოეთი. 9) წერილების ყუთი. 10) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 11 შაბათი 17 ივნისი 1906 წ. თბილისი № 11

## მოსჩანს ბოლო.

Что день грядущій намъ
приноситъ его нашъ
взоръ напрасно ловить.

რამდენს იმედს, რამდენს ნუგეშს მოელიან გულუბრყვილო მცხოვრებნი პირველ რუსეთის პარლამენტისაგან!!.. როგორ ხარობდა წინდაუხედავი ხალხი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევით, რისაგანაც მას დიდი იმედი ჰქონდა მშვიდობიანობის დამყარებისა... მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? უკვე თვე ნახევარმა განვლო, რაც არსებობს, რაც იშვა, რუსეთის პარლამენტი და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხალხის დეპუტატები მრავალჯერ გულწრფელობით ალსავე სიტყვებს წარმოსთქვავდნენ ხოლმე კაბინეტებში, მაგრამ სულ ფუჭად, უნაყოფოდ.

ხალხმა უკვე გაიგო უძლურება და უიმედობა სახელმწიფო სათათბიროსი და თავის საქმის გაკეთებას თითონვე შეუწყო ხელი. აგრარული მოძრაობა დღითი დღე ედება ახალ-ახალ მხარეებს: გაზეთები იუწყებიან მემამულეების და გლეხების ხშირ შეტაკებაზე; სალდათებ შორის მღელვარებაა; ამას წინად დიდებული „ცარსკო-სელსკი“ გუსარის პოლკიც კი აჯანყდა, რომლის დასამშვიდებლად თვით ნიკოლოზ II-ს მოუხდა წასვლა. ყველა არმიის ნაწილებში ამგვარი მღელვარებაა, წარმოიდგინეთ, ყაზახებ შორისაც კი. დიახ, რაც მოსახდენი იყო, ხდება კიდევაც. ჯარის კაცებიც ხალხნი არიან, იმათაც იციან გარჩევა ავ-კარგისა და როდესაც მათ ძალას დაატანენ სინიდისის და რწმენის წინააღმდეგ წასვლისათვის, მაშინ ისინი ხალხთან ერთად მოუბრუნებენ თოფ-ზარბაზნის ტუჩებს და თავიანთვე ბრძანებლებს დაუშენენ.

ხალხი მოტყუებულია მთავრობის დაპირებით, სახელდობრ იმით, რომ ვითომ მთავრობა კანონმდებლობითი უფლებას გადასცემს სახელმწიფო სათათბიროს. დეპუტატები მუდამ დღე იღებენ რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ასობით წერილებს, რომელთ შინაარსი ეხება მხოლოდ დეპუტატების მოქმედების გაძლიერებას, ყოველივე იმის ასრულებას, რასაც ხალხი გულ-მოდგინედ მოითხოვს მთელ რუსეთისათვის. გლეხები აგონებენ დეპუტატებს, რომ მათ მოითხოვონ „მიწა და თავისუფლება“.

ხმა მაღლა იწყეს ლაპარაკი პროფესიონალურმა, პოლიტიკურმა, ეროვნულმა კავშირებმა, ყველა ერთსულოვნობით შეერთებულნი ითხოვენ ძველი მყვლეფელ ბიუროკრატიულ მთავრობის გადაყენებას. კმარა მსხვერპლი, კმარა სისხლი, კმარა პირუტყვული ბასრვა ხალხისა, ჩვენ გვინდა სიცოცხლე და მოვითხოვთ ადამიანურ უფლებებს კეთილ ცხოვრებისათვის. აი ამ გვარია გოდება ჩვენი მრავალ ტანჯულ ხალხისა. ეს გოდება ამოძახილია ხალხის გულის სიღრმიდან ადამიანურ უფლებებისათვის. მალე ხალხის წარმომადგენლები აღშფოთებულნი მთავრობის ცინიზმით, თავიანთ უნაყოფო მოქმედებით, პარლამენტის კაბინეტებში-დაიშლებიან, რაც მათთვის საჭიროებას შეადგენს. და აი მხოლოდ მაშინ დაინახავენ მუშაგლეხები თუ რა დანაშაული მიუძღვით მათ თავიანთ წინაშე, მაშინ დაინახავენ თუ ვინ ეღობება რუსეთის განვითარებას წინ, დაინახავენ, რომ მათ თავიანთი საქმე არავისთვის არ უნდა გადაეცათ, გაიგებენ, რომ პარლამენტის კომედია იმართება იმიტომ, რომ მათთვე დაუხშონ ჰკუა-გონება და დაუხუჭონ ახლად გახელული თვალები, გაიგებენ კარგად იმასაც, რომ რა უპრალოთ იხარჯებოდა ძვირფასი დრო თავიანთ დეპუტატების არჩევნებისათვის, რომელნიც დაბრუნდნენ უარარაოდ, გაიგებენ ყველას და ყოველიფერს მერეც.. მერე თითონვე გაუძღვებიან თავიანთ საქმეებს... ახლოა ის დღე, როდესაც დედა-მიწა ერთხელ და სამუდამოდ გაიჟღინთება, გაპოხიერდება დიდებულ ხალხის წმინდა სისხლით... ის თავის შეცდომებს გვერდს აუქცევს, რადგან უკვე გამოიცადა ბრძოლაში, იმან იცის ეხლა, რომ ძალა მის დეპუტატების პარლამენტის ტრიბუნაზე წარმოთქმულ მჭერმეტყველურ სიტყვებში და ადრეს-პეტიციებში კი არ არის, არამედ ძალა თითონაა და საქმის აღმსრულებელიც. აი ამიტომ ვაფრთხილებთ კიდევ ხალხს, რომ არ გაუგონონ ჰკვიან სულელების უგნურ სიტყვებს, რომელნიც შეუმჩნეველ კაბინეტების კუნჭულიდან დიდებულ ხალხის გრგვინვას თვალყურს ადევნებენ და არ უცადონ ზევიდან ბრძანებას... არა, ყველა ჩვენთაგანი უნდა გაიმსჭვალოს იმ აზრით და უდიდეს რწმენით, რომ ამიერიდან ესე ცხოვრება შეუძლებელია, რომ საჭიროა გრიგალი, რომელიც გასწმენდს მრავალ ტანჯულ ხალხს უუფლებობისა და უგვანობისაგან, რომ თვით ხალხი უნდა იყოს მხოლოდ ერთათ ერთი ბატონპატრონი თავის საქმისა, ყველა თითოეული ჯგუფთაგანი უნდა აღიჭურვოს იარაღით და გავიდეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ბრძოლის ველზე მედგარ ბრძოლისათვის და აი მხოლოდ მაშინ, დავინახავთ ჩვენ ვინ დასძლევს ბნელი ძალები რეაქციისა თუ ხალხის შეუდრეკელი, ძლეთაუმძლევთ, გამბედავი ბრძოლა.

ჩარლზ—მურჩისონ.

## ახალი ამბავი

ქართველ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებამ თავის წლიურს უკანასკნელს კრებაზე 15 ივნისს აირჩია საზოგადოების თანამდებობის პირები. საზოგადოების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული პ. ი. თუმანიშვილი, თანაშემწეთ—ი. ს. გულაძე, გამგე კომიტეტის წევრებათ ნ. ცხვეთაძე, ვ. რცხილაძე, ა. გ. ჯაბადარი, ა. ვ. მდივანი, ვ. ი. მუსხელიშვილი. აირჩიეს აგრეთვე პედაგოგიური საბჭოს შემადგენელი წრე, რომელშიაც მოხვდენ: გ. ლასხიშვილი, ა. მირიანაშვილი, ე. ხრამელაშვილი, პ. გოთუა, ი. გოგებაშვილი, ვირსალაძე, სიდამონოვ-ერისთავი და გ. რცხილაძე.

დასასრულ კრებამ აირჩია სარევიზიო კომისიის წევრები; გ. რცხილაძე, ა. ვახვახოვი, დ. ფავლენიშვილი.

— 15 ივნისს ღამის სასახლის ქუჩაზე ცეიტლინის ოქრო ვერცხლის მაღაზიაში შეპარულან ქურდები და გაუტაცნიათ ნივთები ღირებული 2,000 მ. ქურდებს მეორე მაღაზიიდან, სადაც შესაკეთებლად მუშაობდენ, კედელი გაუნგრევიათ და ისე შემძვრალან მაღაზიაში.

— როგორც პოლიცმეისტერმა აცნობა ქალაქის თავს იგი თავისი უფლებით ქალაქის საკრებულოს დარბაზში უმუშაოთ დარჩენილებს კრებაზე ნებას ვერ დართავს; ამის გამო ქალაქის თავი აცნობებს უმუშაოთ წარმომადგენლებს, რომ მათ გენერალ-გუბერნატორს ნებართვა წარუდგინონ კრებაზე.

— 12 ივნისს სართიჭალის უბანში, თბილისის მაზრ. 2 შეიარაღებული თათარი თავს დაეცა თბილისის 15 გრენადერის პოლკის დარაჯს ტ. ზორის, და უნდოდათ წაერთმიათ თოფი. თავდამსხმელებმა ვერ მიაღწიეს მიზანს და იძულებული შეიქნენ გაქცეულიყვენ.

— როგორც ბათუმიდან იტყობინებიან იქ ძლიერი მოძრაობაა ჯარებში.

11 ივნისს მომხდარი არეულობა კიდევ სრულებით არ დაწყნარებულა. ჩასულმა ჯარებმა აღელვებისათვის კიდევ უფრო შეუწყვიათ ხელი. ყაზახებს და სხვა ჯარებს შორის უკმაყოფილება მწვავდება.

— როგორც პეტერბურგიდგან მოსული დეპეშა მოწმობს საქართველოს ექზარხოსი ნიკოლოზი აღარ ბრუნდება თბილისში. დეპეშაში ექზარხოსი ეთხოვება თანამოღვაწეებს.

## მიტინგი პეტერბურგში.

თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოების დარბაზში შესდგა მიტინგი. დიდი ხანია რაც ეკონომიურ საზოგადოების დარბაზს არ უნახავს ისეთი მრავალ-რიცხოვანი საზოგადოება, როგორც 5 ივნისს, ფ. ი. ლობანოვსკის მაგიერ, რომელსაც უნდა წაეკითხა მოხსენება ტემაზე: „გლეხთა გადასახლება“ გამოვიდა სხვა ორატორი და წაიკითხა სუსტი რეფერატი აგრარულ საკითხზე. შემდეგ ილაპარაკა ლუნა ჩარსკიმ. ორატორის აზრით, დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც საშვალება სრულ თანასწორობისა, არის საბოლოვო მიზანი მშრომელისა; შემდეგ დახატა მშრომელ გლეხთა და პროლეტართა მჭიდრო კავშირი; ილაპარაკა გლეხთა „რევოლიუციონობაზე“

შემდეგ მოლაპარაკე ანარქისტ-

კომმუნისტი ამტკიცებდა, რომ რევოლიუციონური პროცესსი შესდგება ცოტათ თუ ბევრათ სოციალურ პროცესში. უკვე 50 წელია რაც არსებობს პარლამენტი. 50 წელი და ამ 50 წლის არსებობით რა გააკეთა მან? რა მოუტანა, რა მიიღო მშრომელმა კლასმა პარლამენტისაგან. რომელი, თუნდ იოტის ტოლა დემოკრატიული რეფორმამა მაინც განახორციელეს სოც.-დემ. პროლეტართა სწორ ინტერესებში.. ყვირილი, ღრიანცელი და განგაში არ აძლევდენ საშვალებას ორატორს დაემთავრებინა თავისი აზრი. მაგრამ მაინც მან დაამთავრა შემდეგის სიტყვებით: შეადარეთ ეხლა ძალა ორ არგუმენტისა: მეთოდი პარლამენტარულ ცხოვრებისა და მეთოდი იერიშით აღებისა.

თვით რუსეთის რევოლიუციამ ნათლათ დაგვანახვა; სავსებით გაამართლა მეთოდი „ბომბიზმისა“. დაე, იმ მუშებმა, რომელთაც სწვდიეს ნაყოფი პარლამენტარულ ბრძოლისა, გვითხრან ჩვენ, უტოპიურია ანარქიზმი, თუ არა! განა შესაძლოა ღირს ლაპარაკი რვა საათის სამუშაო დღის მოპოებაზედ რომელიმე გროდნოს თუ მაგილიოვის ქარხანაში. ეს საცოდავი წვეთებია ბურჟუაზიის უძირო ცხოვრობის ზღვის შემდეგ: ილაპარაკა სოც. რევ. გამოჩენილმა ორატორმა—ანტონოვმა.

ორატორმა ნათლათ დახატა სოც.-დემ. არარაობა აგრარულ-საკითხში, გამოარკვია ს. რ. პარტიის შეხედულობა ამ საკითხში და შედეგი მიწის სოციალიზაციისა.

ცხადია, თუ რათ გაჩუმეს, რათ არ მისცეს საშვალება ანარქისტ-ლაპარაკისა, იმიტომ რომ ყოველი სიმართლით სავსე და ყოველ ქულიკის და პოლიტიკანოს ფარდა ამხსნელ აზრი ჩვენ ვიგინდარა სოციალისტთათვის სასარგებლო არაა!

### შეგნებული მუშების პროტესტი.

ჩვენ რიცხვით 40 მუშა წინააღმდეგნი ვართ იმ პროტესტისა, რომელიც გამოსცეს გაზეთ „მუშის“ წინააღმდეგ და რომელსაც გზაკვალ აბნეული მუშები ხელს აწერენ, რომელნიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებათ უწოდებენ, იბრძვიან თავისუფლებისათვის და ამავე დროს კი სხვა ახალ მოვლენილს პარტიას ეუბნებიან თქვენ მუშის სახელით გაზეთს ნუ გამოსცემთო, არც ერთი რევოლიუციონერი თუ მართლა ის თავისუფლებისათვის მებრძოლია არა პარტიას არ უნდა უბრძანებდეს, რომ, მარტო ჩვენ ვართ მუშები, და თქვენ არ შეგიძლიანთ მუშის სახელი ატაროთო და თუმცა ამასაც ვფიქრობთ, რომ ეს პროტესტი უფრო „ლამპრის“ ბელადების შედგენილი უფრო არის, ვიდრე თქვენ მიერ გამოცხადებული, რადგანაც სოციალ-დემოკრატ. მუშებთა შორის ხშირი მოვლენაა რომელიმე ალვირ-წახსნილი ინტელიგენტის სურვილი არის ხოლმე მთელი მუშებისა. დროა, მუშებო, გამოიღვიძოთ დამონებულნო მეორე ბიუროკრატებისაგან და თქვენ თითონ აკეთოთ ის დიადი საქმე, რომელსაც ებრძვის მთელი ქვეყნის პროლეტარიატი.

ბაქოის მე-3 რაიონის სოციალ-
დემოკრატიული მუშათა ჯგუფი.

**შენიშვნა**. ჩვენ მართალია არა ვართ მომხრე ხმის უმეტესობით სიმართლის გადაწყვეტისა და არც ინიციატივა მიგვიღია ხმების შესაკრებად, მაგრამ რომ „ლამპრის“ რედაქციამ დაავალა და მიიღო ინიციატივა პროტესტანტების გამოსავლებაში, ცხადად სჩანს იქიდან, რომ სანამ გაზეთი „მუშა“ გამოვიდოდა, რამოდენიმე დღით ადრე გაიგეს და ძრიელ წინააღმდეგი იყვნენ, რომ ჩვენი გაზეთი ამ სახელით გამოგვეშვა. ცხადია, რომ ინიციატივა მუშებს კი არ ეკუთვნით, არამედ ზეიდან მოდის—„ლამპრიდან“. რა ჰქნას მუშებმა? მუშები კი არა შეიარაღებული ჯარის კაცხი, ჯარის კაცები თუმცა გრძნობენ თავიანთ დაჩაგრულ მდგომარეობას, მაგრამ, ვერ გაუბედნიათ წავიდნენ უფროსის ბრძანების წინააღმდეგ.

რედაქცია.

### ქუთაისის ამბები.

ამას წინედ დაჭრილი ქუთაისის ს[...] სასამართლოს თავმჯდომარე [...] გაუდგა თავის გზას. სადღაც [...] მისი მესაიდუმლე კოპიცინი, [...] მიზეზიათ, როგორც ამბობენ, [...] ჯრეს თავ-მჯდომარე. თავმჯდომ[...] წასვლისას თან ახლდნენ კაზაკები. [...] ჯრის შემდეგ შედამ ეარაულ[...] მას კაზაკებივე.

— ბათუმელ სოც.-დემოკრ. [...] გაზეთი „ზარიას“ რედაქტორი [...] პასუხის გებაში მიეცია სამხედრო [...] ბერნატორს განცხადების მმართ[...] მუხტს მისი № 12 სხვა და სხვა [...] ვრობის „საწინააღმდეგო“ წერილ[...] მოთავსებისათვის.

— ქუთათურ სოც.-დემოკრ[...] სათათბიროს წევრის რამოდენიმ[...] ტელეგრამმა უნდოდათ გაეგზავნა [...] შესახებ, რომ მთავრობას განეს[...] მისი პასუხის გებაში მიცემა და [...] პუტატების უფლების წართმევა. [...] რამ ფოსტის მთავრობამ ეს ტელეგ[...] მმა აღარ მიიღო, დაინახა რა [...] მთავრობის საწინააღმდეგო აზრი.

—30 იანვარს, ქ. ქუთაისში კაზ[...] მოჰკლეს ევირილელი მუშა [...] ჯუმბაძე. ამის შესახებ პასუხის გე[...] მიეციათ კაზაკები: მატვეი შვეც[...] გრიგორი ვლადიჩკინი და დანიელ[...] ხი, რომელთაც განუცხადებიათ, [...] ჯუმბაძე გაქცევას აპირობდა და [...]

# ფელეტონი

—

### პოლიტიკური უფლებები.

(თარგ. პ. კროპოტკინიდან).

ბურჟუაზიული პრესსა ყოველ დღე სხვა-და-სხვანაირათ ჩაგვჩიჩინებს ჩვენ პოლიტიკური თავისუფლების და „ადამიანის პოლიტიკური უფლების“ მნიშვნელობაზე: საყოველთაო არჩევნების უფლებაზე, არჩევნების, ბეჭდვითი სიტყვის, კავშირების, კრებების თავისუფლებაზე და სხვა...

— „რა საჭიროა ამბოხება, რა საჭიროა იარაღისათვის მიმართვა,— გვეუბნება ის,—როდესაც ჩვენ გვაქვს ყველა ეს უფლებები, და მაშასადამე, საშუალება მოვახდინოთ ყველა საჭირო რეფორმები!“ დავაფასოთ ერთი ეს მედიდური პოლიტიკური უფლებები ჩვენი თვალთა ხედვის მხრით ე. ი. იმ კლასსის თვალთა ხედვის მხრით, რომელსაც არაფერი არა აქვს, არავის არ მართავს და რომელსა აქვს ძრიელ ცოტა უფლებები და ძრიელ ბევრი მოვალეობები. ჩვენ არ ვიტყვით, როგორც ამას წინეთ ამბობდენ, რომ პოლიტიკურ უფლებებს ჩვენ თვალში არ ქონდეს არავითარი ფასი, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბატონ-ყმობის ხნიდან და წასულ საუკუნიდანაც კი ამ შემთხვევაში ცოტა რამ უკვე გაკეთდა. საფრანგეთის მუშა დღეს აღარ წარმოადგენს ყოველ ადამიანურ უფლებებს მოკლებულ არსებას, როგორც ის იყო უწინ, როცა არისტოკრატია უცქეროდა მას ისე, როგორც სამუშაო პირუტყვს; თავის სახელოსნოს გარეთ ის სთვლის თავის თავს ყველა დანარჩენ მოქალაქეთა თანასწორათ. არავის შეუძლია საფრანგეთში გლეხი გაროზგოს ქუჩაში, როგორც ამას სჩადიან რუსეთში. ქარიშხალიანი რევოლიუციებით და დანთხეული სისხლით ხალხმა მოიპოვა რამოდენიმე პირადი უფლებები, რომელთა მნიშვნელობის დამცირება ჩვენ არ გვსურს, მაგრამ უფლებებიც არის და უფლებებიც, საჭიროა მათი ერთი ერთმანეთისაგან გარჩევა; ზოგ იმათგან აქვს რეალური მნიშვნელობა, ზოგს კი არა; ვინც მათ ერთი ერთმანეთში ურევს, ის ატყუებს ხალხს. არიან უფლებები, როგორც მაგალითად, თანასწორობა კანონის წინაშე არისტოკრატისა და გლეხკაცისა, ყოველი მოქალაქის სხეულის (პიროვნების) ხელუხლებლობა და სხვა. რომელნიც ხალხმა მოიპოვა გამუდმებული ბრძოლის შემდეგ და რომელნიც იმდენათ ძვირფასი არიან მისთვის, რომ მათი დარღვევის მცირეოდენი ცდაც კი გამოიწვევს ამბოხებას. არიან აგრეთვე იმისთანა უფლებები, მაგალითად არჩევნების უფლება, ბეჭდვითი სიტყვის და სხვ... რომელთა ხალხი ყოველთვის გულ-გრილათ ეპყრობოდა, რადგანაც გრძნობდა, რომ ეს უფლებები, იცავენ რა ბურჟუაზიას მთავრობის და არისტოკრატიის თვითნებობისაგან (თვითუფლებობისაგან), ხდებიან გაბატონებულ კლასსთა ხელში ხალხის დასამონავებელ იარაღათ. მათ არ შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური უფლებები, რადგანაც ისინი არ იცავენ ხალხის ინტერესებს; ეს მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური ენაა—ჟარგონი, გამოგონილი მმართველ კლასსების მიერ განსაკუთრებით თავის საჭიროებისათვის, იხსენიებს მას ამნაირ დიდი სახელით. მართლაც, რაა პოლიტიკური უფლება, თუ არა იარაღი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცველათ იმათთვის, რომელთ თავათ არ შესწევთ ძალა პატივისცემა ჩაუნერგოს ამ თავისუფლებისადმი? რაა მისი დანიშნულება, თუ მას არ შეუძლია მისცეს თავისუფლება ყველა მათ, რომელთაც უნდა ეპყრათ ის? გამბეტტა, ბისმარკი და გლადსტონისთანა პირებს არ სჭირიათ არც ბეჭდვის, სიტყვის, არც კრებების თავისუფლება; ისინი ისედაც სწერენ ყველაფერს, რაც უნდათ, ახდენენ როგორც მათ სურთ კრებებს, აღიარებენ იმ მოძღვრებას, რომელნიც მათ უფრო მოსწონთ; ისინი ისედაც თავისუფალი არიან. და თუ ვისმეს კი უნდა მიეცე[...] ტყვის, ბეჭვდითი სიტყვის და [...] ბების თავისუფლება, ეს მარ[...] მათ, რომელი თავათ არ შეუძლ[...] უზრუნველ ჰყონ თავისათვის ეს [...] ლებები და გაატარონ ცხოვრებ[...] თავისი იდეები, თავისი პრინციპ[...] ამნაირია ყველა პოლიტიკური [...] ლებების წარმოშობა. მაგრამ [...] დროში ეძლევათ ეს უფლ[...] მათ, რომელთ ისინი ესაჭიროებ[...] რასაკვირველია, არა. საყოველ[...] არჩევნების უფლებას შეუძლია [...] დენიმეთ დაიფაროს ბურჟუ[...] იარაღისათვის მიუმართავათ ცენტ[...] ლურ უფლობის ბოროტმოქმედ[...] საგან. მას შეუძლია შეარიგ[...] მტრები, რომელნიც ეცილებ[...] ერთმანეთს უფლობას და შეაჩერ[...] ისინი სისხლის ღვრისაგან. მაგ[...] ეს უფლება უღონოა იქ, საცა სა[...] როა დამხობა, ან შეზღუდვა უფ[...] ბებისა და მოსპობა განსაკუთრებ[...] უფლებების მქონე კლასის ბატონ[...] ბისა. მშვენიერი იარაღია მარ[...] ლების შორის მომხდარ გაუგებ[...] ბის მშვიდობიანათ გადასაწყვეტ[...] მხოლოთ რა სარგებლობის მოტ[...] შეუძლია მას ქვეშევრდომებისათ[...] ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ის[...] რია.—სანამ ბურჟუაზია ფიქრობ[...] რომ საყოველთაო არჩევნები იქნებ[...] ხალხის ხელში განსაკუთრებულ [...] ლებების მქონე კლასსების წინააღმ[...] ბრძოლის იარაღი, მთელი თავ[...]

კალათით, ამ მკვლელობაში მთავრობას მხოლოდ სამხედრო სამსახურის დარღვევა უნახავს.

— ბევრი ამ გვარი საქმეები თითქმის სრულიად მისპობილია, მიუხედავათ იმისა, რომ იციან მკვლელი კაზაკების ვინაობა. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოები ერთმანეთს ადებენ საქმეს. არა შენ გეკუთვნის ამ საქმის გარჩევა. და არა შენათ, და ამ ნაირად არც ერთი ამ გვარი კაცის მკვლელი ოდნავადაც არის აღარ დასჯილი. მმართლ-მსაჯულობაა, მაშ რაღა ჯანდაბაა!

ს.—რ.

## რუსეთის ქრონიკა

პეტერბურგში 11 ივნისს მოუხდენიათ კონფისკაცია შემდეგ გაზეთებისა: ,,რუსკი ნაბატ'' ,,პრიზივ'' ,,ვპერიოდ'', "გოლოს" დ ,,ტრუდოვაია როსსია''.

—

როგორც ,,დუმას'' შეუტყვია პოლიციის დეპარტამენტს გაუგზავნია ჟანდარმთა განყოფილებათათვის განკარგულება სასტიკი თვალყური ადევნონ ბარგს, რომელიც იგზავნება პეტერბურგიდან.

—

,,დუმას'' სიტყვით უმთავრესმა მმართველობამ ფოჩტა-ტელეგრაფთა შეატყობინა ყველა ფოჩტა-ტელეგრაფის კონტორებს, რომ თუ ისინი მიიღებენ განკარგულებას ამა თუ იმ გაზეთის კონფისკაციაზედ, ასეთი გაზეთები აღარ უნდა გადასცენ ადრესატებს, და გაუგზავნონ გუბერნატორს.

—

მინისტრთა შორის უთანხმობაა. გორემეკინის პრემიერობას ბოლო ელება. კოკოვცევი და სტიშინსკი ორივე ელიან პრემიერის ადგილი დაიჭირონ.

—

როგორც მარიუპოლიდგან ატყობინებენ გაზ. ,,ილია მურომეცს'' იქ გაუწვევიათ პროვოკაცია ,,პოგრომის'' მოსახდენად. პროვოკატორი რომელმაც ესროლა საყდარს, იცნეს. უკმაყოფილო მუშებს მკაცრი რეზოლიუციები გამოაქვთ. სოფ. მალი იაზსოლ მთვრალმა ხულიგანებმა დაშალეს ბაზრობა და გაჰქურდეს ერთი ბერძნის დუქანი.

—

9 ივნისს, კიევში დღისით პირველ საათზედ დასცემიან ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზის არტელჩიკებს იმ მიზნით, რომ გაეტაცნათ 175 ათასი მანეთი. არტელჩიკებს მიჰქონდათ ფული სახელმწიფო ბანკში ორი აბგით. ნიკოლაევის და ოლგის ქუჩების კუთხეში მათ თავს დაესხნენ სამნი. მოჰკლეს არტელჩიკი განინი, უკნობთ გაიტაცეს ფულების აბგები, ჩასხდნენ ეტლში და გააქროლეს. არტელჩიკებმა ასტეხეს სროლა. ცხენი აიყალყა და ერთი უცნობთაგანი ფულიანათ ძირს გადმოვარდა, ის გაიქცა და დაიმალა, მაგრამ მალე იპოვეს ფალბერგის ბანზედ. გუშინ აქავე თავს დაესხნენ ბერძნების არქიმანდრიტს ამფილოხს, რომელიც სხვაგან იყო სტუმრად. გაჰხადეს ანაფორა, წაართვეს ჯვარი და დასჭრეს-რა დიასახლისი, წაართვეს მას 165 მან.

—

სლაბოდა-ბორისოვკაში მივიდნენ დრაგუნები და ყაზახები. მაგრამ ამისა მიუხედავად აღელვება გრძელდება. გადასწვეს ტყის მცველის ქოხი და აგარაკები თავ. შერემეტიევისა.

—

იაროსლავში დაბანაკებულს ჯარს უხვად აწოდებენ შავრაზმელთა მიერ გამოცემულ პროკლამაციებს. პროკლამაციებს ეზიდებიან პეტერბურგიდგან და მოსკოვიდან, ავრცელებენ კი მათ წევრნი „რუსული ერის კავშირისა“

—

ყაზანში გაიფიცნენ ღვინის საწყობების ნოქრები, ითხოვენ სამუშაო ფასის მომატებას და მათ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

—

პეტებურგში ჩამოსულნი ნოვ-გოროდი გლეხები ამბობენ, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერდა ტყეების ცეცხლის წაკიდება.

—

დედუგოფში სადგურზედ 1 და 2 კლასების დარბაზში აწერია თურმე კედელზედ: „ჰკა ებრაელებს“

—

ესკადრონულ ჯავშნიან გემზედ „ცესარევიჩ“ 1 მაისიდან დაწყებული სამჯერ მომხდარა აჯანყება.

—

კოლპინოში გაიფიცვნენ პურის მცხობლები და კონდიტრები. მათ წარუდგინეს იგივე მოთხოვნილებანი, როგორც პეტერბურგში. პეტერბურგში ჩამოვიდნენ მათი წარმომადგენელნი ინსტრუქციების მისაღებად.

—

ნევის მექანიკურ და გემთა ასაშენებელ ქარხანაში მუშებმა წარუდგინეს თხოვნა ხელფასის მომატებაზედ. დირექტორმა გამოუცხადა უმჯობესად სთვლის დაჰხუროს ქარხანა ვიდრე დასტური დასცეს მუშათა მოთხოვნილებაზედ.

## უცხოეთი.

**ინგლისი.** ბრიტანიის საზოგადოებათა პალატაში 18 ივნისს ა. ს. მუშა ტორნი შეეკითხა გარეგანსაქმეთა მინისტრს წარუდგენს თუ

---

ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა მას, როდესაც, 1848 წ. მან გაიგო, რომ ეს უფლება არამც თუ არ უქადის ცუდ რამეს მის განსაკუთრებულ უფლებებს, არამედ არც კი უშლის ძას ხალხის უფლებობას, მან უცბათ ჩასჭიდა ამ უფლებას ხელი. ეხლა კი ბურჟუაზია გახდა მისი თავგამოდებული დამცველი, რადგანაც მან იცის, რომ ეს საუკეთესო სახსარიო. ხელში უმრავლესობაზე ბატონობის შერჩენისათვის. იგივე ითქმის ბეჭდითი სიტყვის თავისუფლების შესახებ.—რომელი საბუთი იყო ბურჟუაზიის თვალში უფრო სარწმუნო ბეჭდითი სიტყვის სასარგებლოთ?—ძისი უძლურება! ,,როდესაცო'', — ამბობს, ჟირარდენი,—,,სწავლენ მეჯადოვეებს (КАЛДУНОВЪ), რადგანაც თავის სისულელის გამო ეგონათ ისინი ყოვლათ შემძლებელნი; ეხლა ისეთსავე სისულელეს სჩადიან ბეჭდითი სიტყვის შესახებ. მაგრამ ბეჭდითი სიტყვა ისეთივე უძლურია, როგორც საშუალო საუკუნოების მეჯადოვეები. და ამიტომ — ძირს ბეჭდითი სიტყვის დევნა!“ აი რას ამბობდა როდესაც ჟირარდენი. როგორ არგუმენტს აყენებს ეხლა ბურჟუაზია ბეჭდითი სიტყვის სასარგებლოთ?—„შეხედეთ“, ამბობენ ისინი,—„ინგლის, შვეიცარიას, შეერთებულ შტატებს. ის სრული თავისუფლებაა ბეჭდითი სიტყვისა, მაგრამ არსად იმ ზომამდე არ არის განვითარებული ექსპლოატაცია, არსად ისე არ მეფობს კაპიტალი. დაიბადონ მავნებელი მიმართულებები. ჩვენ შევსძლებთ მათ ორგანოების ხმის დაჩაგვრას, რომლისთვის ჩვენ არც კი მივმართავთ ძალ-მომრეობას. და თუ როდისმე, მღელვარების დროს, რევოლიუციონერი პრესსა გახდება საშიში, ჩვენ ყოველთვის მოვასწრებთ მოვსპოთ ის ამა თუ იმ რომელიმე მიზეზის სახელით“. ასევეა კრებების შესახებაც.—„მივცეთ კრებების სრული თავისუფლება“, ამბობს ბურჟუაზია; —„ხალხი ვერ გაბედავს ხელი შეახოს ჩვენ განსაკუთრებულ უფლებებს. ჩვენ ყველაზე უფრო უნდა გვეშინოდეს ფარულ საზოგადოების, კრებების თავისუფლება კი საუკეთესო საშუალებაა, რომ მათ ბოლო მოეღოთ. თუ კი ძრიელი მღელვარების დროს სახალხო კრებები გახდებიან მავნებელი, ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ავკრძალოთ ისინი, რადგანაც ჩვენ ხელშია მართველობითი უფლება, ,,სახლ-კარის ხელ-უხლებლობა? —ინებეთ! ჩაწერეთ ის კოდექსებში, იყვირეთ ის ყველგან!'' ამბობენ ეშმაკი ბურჟუები.—„ჩვენ არა გვაქვს მცირეოდენი სურვილიც კი, რომ პოლიციის აგენტებმა შეგაწუხონ თქვენ ოჯახში. მაგრამ ჩვენ დავაწესებთ ფარულ კანცელარიას, ჩვენ ძოვფენთ მხარეს (კუთხეს) ფარული პოლიციის აგენტებით, ჩვენ შევადგენთ არა კეთილ-სარწმუნო პირთა სიას და გამჭრიახათ ვადევნებთ მათ თვალს. როდესაც ჩვენ ვიგრძნობთ, რომ ხიფათი მოახლოვებულია, შევაფერხებთ ხელშეუხებლობას, დავიწყებთ ქვეშაგებელში ხალხის ქერას, დაუწყებთ მას გამოკითხვას, სახლის ჩხრეკას. არ შევდრკებით არაფრის წინ და მათ, ვინც გაბედავს და ხმა მაღლა წამოაყენებს თავის მოთხოვნებს, დავამწყვდევთ ნაობახტში.

თუ კი ჩვენ ამაში ბრალს დაგვდებენ, ჩვენ ვეტყვით: ,,რა ვქნათ, ბატონებო! A la guerre, cemme à la guerre კორრესპონდენციის ხელუხლებლობა?—ელაპარაკეთ ყველას, სწერეთ, რომ კორრესპონდენციას არ უნდა ახლონ ხელი. თუ მიყრუებულ სოფელში ფოსტის განყოფილების უფროსი უბრალო ცნობის მოყვარეობით გახსნის რომელიმე წერილს, ჩამოართვით მას. მაშინვე მის თანამდებობა, უყვირეთ ყველასათვის გასაგონათ: საკვირველებაა! დამნაშავეა!'' უფთხილდით, რომ ის წვრილმანები, რომელით ჩვენ ვაცნობებთ ერთმანეთს წერილებში, არ იქვენ გამოქვეყნებული მაგრამ თუ კი ნახეთ კვალი შეთქმულებისა ჩვენ განსაკუთრებულ უფლებების წინააღმდეგ,—მაშინ არარის საჭირო მორიდება: გავხსნით ყველა წერილებს, დავაარსებთ სპეციალურ მოხელეების, მთელ შტაბს მოწინააღმდეგეთ კი ვეტყვით, როგორც ესა ქნა ამას-წინეთ ინგლისისი პარლამენტში ერთმა მინისტრმა:—,,დიახ, ბატონებო, დიდი სიძულვილით ვხსნით ჩვენ წერილებს, მაგრამ რა მქნათ, სახელმწიფო სწორეთ რომ ვთქვათ არისტოკრატია და ბურჟუაზაა) განსაცდელშია!''

აი ბოლოს და ბოლოს რაზე ჩამოჰყავთ ეგრეთ წოდებული, პოლიტიკური თავისუფლება. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, კრებების თავისუფლება, სახლ-კარის ხელშეუხებლობა და ყველა დანარჩენი უფლებები არიან შეწყნარებულნი მხოლოთ მანამდი, სანამდე ხალხი არ ისარგებლებს მათი, როგორც იარაღით გაბატონებულ კლასსებთან საბრძოლველათ. მაგრამ როგორც კი გაბედავს ის ხელი შეახოს ბურჟუაზიის პრივილეგიებს, მაშინვე ისვრიან გვერდზე ყველა ამ უფლებებს. ეს სრულიათ ბუნებრივია. ჩამოურთმეველია მხოლოთ ის უფლებები, რომელნიც კაცმა მოიპოვა გამუდმებული ბრძოლით და რომელთა გულისათვის ის მზათ არის ყოველ წამს მიმართოს იარაღს.

დონ-ჯან.

არა დიდი ბრიტანია რუსეთის მთავრობას ნოტას ხალხის ასე მოპყრობისათვის, ვიდრე ბრიტანიის ესკადრა გაემგზავრება სადარბაზოდ კრონშტადტში. ედუარდ გრეიმ უპასუხა, რომ ამ ნაირი ნოტა არ შეიძლება წარედგინოს. მაშინ ტორნი აძლევს მეორე კითხვას: „რა მიზანი აქვს ფლოტის გაგზავნას კრონშტადტში? იცის თუ არა მინისტრმა რომ რიგაში სიკვდილით იყვნენ დასჯილნი 14 წლის ვაჟი და 18 წლის ახალგაზრდა ქალი?“ კეირგარდიმ თავისი მხრით მისცა შემდეგი კითხვა: „უნახამს თუ არა მინისტერს დეპეშა, ხელ-მოწერილი ნ რუსეთის საბჭოს წევრთა მიერ, სადაც იწერებიან, რომ ხოცვა-ჟლეტა მძვინვარდება და მთავრობა მას ხელს უწყობს? არა კმარა განა ეს ფაქტები, რომ მთავრობამ მიიღოს ზომები რათა გავლენა იქონიოს რუსეთის მთავრობაზედ? გრეიმ უპასუხა, რომ მან ეს ყველაფერი მარტო გაზეთებიდან იცის, დანამდვილებით კი იგი მას არაფერი აქვს გაგებული. ბრიტანიის ფლოტი ამ ზაფხულს წავა ბალტიის ზღვაში პრაკტიკულ ვარჯიშობისათვის და ინახულებს რუსეთის, შვეციის და გერმანიის ნავთსადგურებს.

ასეთი იყო ბაასი მუშების წარმომადგენლების ტორნის და კეირგარდის და გრეის შორის. რუსეთის მთავრობის საქციელი ტალახში სვრის მთელ მსოფლიო ცივილიზაციას. სად მომხდარა და გაგონილა დასავლეთ ევროპაში ისეთი საშინელება, რომელიც მაგ, ამას წინათ მოხდა ბელოსტოკში. რა მჭერმეტყველობა გამოსთქვამს იმ ტანჯვას, იმ საშინელებას, როგორც მიაყენეს ბელოსტოკის მცხოვრებთ... და აი ამგვარი ალმაშფოთებელი ამბები მიიპყრობს ხოლმე ევროპიელების ყურადღებას. მათ ვერ წარმოუდგენიათ თუ როგორ შეიძლება ყველა ეს მოხდეს იმ ქვეყანაში, რომლის მონარხმაც პირველად წამოაყენა კითხვა გააგის სამშვიდობო კონფერენციაზედ... პროტესტებს უცხადებენ რუსეთის მთავრობას, მაგრამ პროტესტი ხომ მარტო ქალალდზედაა დაწერილი, პროტესტი მორალური ზიზღის გამოცხადებაა და განა მას რუსეთის მთავრობაზედ ექნება რამე გავლენა, იმ მთავრობაზედ, რომელსაც თავისი ბედ-იღბალი მხეც სატრაპებზედ და პულემიოტებზედ დაუმყარებია, რომელმაც გაანადგურა მთელი სახელმწიფო, რომელმაც მეცნიერების ტაძრები ჯარის კაცთა ბოსლებათ გაჰხადა, რომელმაც აატირა და ააწიოკა მრავალი მილიონი მწარმოებელთა, რომელიც მუდმივ ფეხ-ქვეშ სთელავს ყოველივე პირადობას და ბუნებრივ კაცის უფლებას, რომლის მოწყალებითაც სიცოცხლეს გამოეთხოვნენ არა ერთი ათასი მოქალაქეთა მასთან ბრძოლის დროს, სადაც ფელდფებლები მინისტრობას ეწევიან, სადაც უბრალო მაწანწალა პრისტავ-გოროდოვოები ხალხის ბედ იღბალს განაგებენ, სადაც ბაჟერ-ალიხანოვები ცეცხლით და მახვილით მშვიდობიანობას ამყარებენ, სადაც მთავრობამ აამხედრა ერთი ნაწილი მცხოვრებთა მეორეზედ ხელიშეუწყო მდაბალ მხეცურ ინსტიქტების გნვითარებას და ხულიგანები დასხა ერთად ერთ კეთილ-განზრახულ მოქალაქეთ, რომელმაც მთელი მეცნიერება საპყრობილეებში ჩაახრჩო, რომელიც სდევნის სასტიკად სიმართლეს და ძარცვა-გლეჯა და უსამართლობა დევიზად გაუხდია — მასზედ... იქ, იქ არაფერი გავლენაა არა აქვს მორალურ პროტესტებს და მართალია ჩვენ გვწამს, რომ საუკეთესო კაცობრიობის ელემენტები გულით არიან აღელვებულნი რუსეთი მთავრობის სიმხეცით, ვიცით რა ზიზღს იწვევს იგი მთელ ევროპა-ამერიკის პროლეტარიატის გულში, მაგრამ ჩვენი ხსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსამართლობის მოსასპობლად მივსდევთ მოსეს მიერ წამოყენებულ პრინციპს: око за око и зубъ за зубъ. და ჩვენ საქმეს არ გადავცემთ სხვა-და-სხვა ქირისუფლებს, რათა პარლამენტში სიტყვების ქექაქუხილით მოგვიპოვონ ის, რასაც ჩვენ ვეძიებთ, ხომ ნათლათ ვხედამთ ჩვენი პარლამენტარების ყბედობის უსარგებლობას... მგონი კმარა, ჰა?..

ი. ტ.

---

## წერილების ყუთი

ბ. თავართქილაძეს!

ჩვენ გვინდოდა დაგვებეჭდა თქვენი ჩვენ გაზეთში თქვენ თავობაზე მოთავსებული წერილის პასუხი მაგრამ რადგანაც ჩვენი გაზეთი პატარაა, ამიტომ ვერ ვბეჭდავთ თქვენ წერილს და წინადადებას გაძლევთ მიმართოთ სხვა უფრო ფართო ორგანოებს, როგორცაა მაგალითად „ლამპარი“.

ჩვენ არ გვაქვს სხვისი წერილის დამოკლების და დამახინჯების უფლება; თქვენი წერილი-კი დიდია.

თუ თქვენთვის ყოვლად შეუძლებელი იქნება თქვენი წერილის „ლამპარში“ ან სხვაგან მოთავსება, იმ შემთხვევაში ჩვენ დავსტამბავთ სრულად.

---

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

**ეკატარინოსლავი**. დასჰკრეს რკინის გზის არტელჩიკი, რომელსაც წაართვეს 15 ათასი მანეთი. მუშა, რომელიც მოეშველა, დაჭრილია.

— მუშათა გაფიცვა ელექტრონის სადგურზე გაგრძელდა. იმათ გამოუცხადეს დათხოვა და მათ მაგიერ ჯარის კაცები ჩაყენება იმათ ალაგას.

**ბალახანა**. დერიუგინის მიწის ქარხანას თავს დაესხა 30 სახე ახვეული ავაზაკები, მაგრამ ვერაფერი წაიღის, რადგანაც იქვე მყოფმა მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ერთი მუშა მოკლულია, ერთიც დაჭრილი. ავაზაკები მიიმალნენ.

**ორიოლი**. დაიჭირეს კარაჩევსკის საერობო ფელშერი, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლიუციონური ბროშურები და პროკლამაციები.

**კოვნა**. შაველის მაზრაში, უცნობთაგან მოკლულია, ნარიმკინის მამულის მმართველი მტრაუმანი.

**ვარშავა**. სამხედრო საოლქო სასამართლომ შეიარაღებული თავდასხმისათვის, პაკროსკის ფუძეზე, გროდნოს გუბერნიაში, ოსტაშევსკის, ოსიპ ანიხიმუკს, ვლადისლავას და ივანე ბაროვსკებს. საკიცკის და გალინოვსკის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა; პეტრე ანიხიმუკას, გადლევსკის და აგვისტოვიჩს კატორგაში გაგზავნა ყოველივე უფლების ჩამორთმევით.

**ვლადიკავკაზი**. 14 ივნისს. ვლადიკავკაზის არტილერიის ბანაკში არეულობაა. წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებანი. სალდათებმა გაჰფანტეს ოფიცრების კრება. დღეს გაიგზავნა ქვეითა ჯარი ტყვიისმტყორცნებით. ერთ ბატარეის იარაღი აჰყარეს.

**ვლადიკავკაზი**. 15 ივნისს აჯანყებულ, მე 18 მთიურ ბატარეის იარაღი აჰყარეს და კარში გაგზავნეს. წესიერება აღადგინეს.

**ტუაპსე**. სოჩის მახლობ გილობრივ მცხოვრებთ ოცს კაცს გაუცარცვავს წაუღიათ 26,000 მანეთი. ლია სტრაჟნიკი და ოთხი მეორე სტრაჟნიკი დაჭრილი

**უსმან**. დადიან პატრულ იფიცნენ რიაზანო-ურალსკის გზის მუშები.

**ეკატერინოსლავ**. რკინის სახელოსნოში თავს დაეცე ლჩიკს ბოროტ-გამზრახველებ ტაცეს 10,000 მან.

**მიტოვა**. სასამართლო შ მლობსა რომ შეუცვალონ კატორგათ, რომელსაც ბა ბარონ განის სახლის დაწვა.

**იაროსლავი**. მატარებლ ხების დროს მოკლულია ხ რამოდენიმე დაჭრილია.

**ეკატერინოსლავი**. ვარვა ლის მადაროები მუშები გაიფ

---

რედაქცია სთხოვს ყოველგ ლა ამხანაგებს, თანა-მოაზრე იმათ, ვინც თანაუგრძნობს გა მიმართულებას, გაუწიოს ენ ლი დახმარება: ეკონომიური დ იური კოოპერაცია გაზეთის გა მის საქმეს: სალამოების გამარ სპექტაკლების დადგმით, ზელის წერის გამართვით, და რაფერ ბით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფან ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზ გავრცელებას, მოგვაწოდონ წ ლები და კორესპონდენციები.

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პრო ვინციებში ფულები ყოვე შაბათობით გვიგზავნონ სურთ, რომ შემდეგისთვის მიიღონ გაზეთი**

ჩვენ მზად ვართ დავუთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონ **მუშის**, მწარმოებლის მიერ გა ცხადებულ პროტესტს მჩაგვრელ წინაალმდეგ და ამით ხელი შე წყოთ მუშების დიად ბრძოლას ხელმწიფოსა და კაპიტალის წინაა მდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე**

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.